საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4/391

ქ. თელავი

„10" „04" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლის, აგრეთვე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის" შესახებ დებულების მუხლი 4.2 „ბ" ქვეპუნქტის, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მანანა კევლიშვილის სამსახურებრივი ბარათის (07/07/2017წ; N800098), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მაგდა დავითაშვილის სამსახურებრივი ბარათისა (10/07/2017წ. N808076) და აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ივლისის N18 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიმდინარე წლის 10 ივლისს შემდეგ ფაკულტეტებზე:

   ა) აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 3 (სამი) წლის ვადით
   - სატყეო საქმის მიმართულება
     - ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 3 (სამი) წლის ვადით

- ➢ ფიზიკის მიმართულება
  - ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

2. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების" მიხედვით;
3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 18 აგვისტოდან და დასრულდეს 2017 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით;
4. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 39-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2017 წლის 07 სექტემბერი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კანცელარიის ადამიანური რესურსების მენეჯერს (ქ. ხმალაძე);
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/